## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; ისინი მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. გამოყენებული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან.

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი ფორმების და მეთოდების გამოყენებით: სწავლების ვერბალური მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ინტერაქციული მეთოდი; შედარებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; თანამშროლობითი სწავლება; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; დაპროექტება.

დამატებით, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ლაბორატორიული დავალებები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც შეესაბამება სწავლის შედეგებს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის; თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; თითოეულ კურსისთვის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულია შუალედური შეფასების პროცედურები.

შეფასების სისტემა შესაბამისობაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან. კერძოდ, შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სამაგისტრო პროგრამების დებულების" მიხედვით, დასკვნითი გამოცდის წონა საგნის საბოლოო შეფასებაში არ შეიძლება აღემატებოდეს 40%-ს. შუალედური და დასკვნითი შეფასების ქულებსა და შესაბამისად, შეფასების პროცენტს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს ლექტორი. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების უფლება სტუდენტს აქვს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება ჯამურად უტოლდება მინიმუმ 51%-ს. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%, ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთი მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი უზრუნველყოფს პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას, შესაბამისად პროგრამის პერსონალი იღებს

ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის სათანადო მხარდაჭერას, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში წერითი გამოცდების უმეტესობა ტარდება საგამოცდო ცენტრში, რომელიც 200 სტუდენტზეა გათვლილი. საგამოცდო ცენტრის მიერ წინასწარ ხდება განრიგის შედგენა, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე და წინასწარ ეცნობება სტუდენტებს. საგამოცდო ცენტრში სისტემურად შემცირებულია გადაწერისა და წყაროებით სარგებლობის რისკი, შეზღუდულია ინტერნეტზე წვდომა, თუ ეს არ არის ცენტრის მიერ დაშვებული, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში, შესაბამისად მინიმუმამდეა დაყვანილი გამოცდის წერის პროცესში აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის რისკი.

ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი, რომლის შეფასების წესიც დადგენილია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქციით", რომლის მიხედვით ნაშრომი ფასდება ერთჯერადად საჯაროდ დაცვის დროს, ამასთან ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას (ნიშნის გარეშე), რომელიც მოიცავს ნაშრომის ზოგადი შეფასებას, ავტორის უნარ-თვისებების ხარისხის შეფასებას და დასკვნას, ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვების შესახებ, აგრეთვე საჯაროდ დაცვაზე ნაშრომი დაიშვება რეცენზენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომისია ნაშრომს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სამაგისტრო ნაშრომის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, შინაარსის სრულყოფილება, სტუდენტის მიერ შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული სია, საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლის სიღრმისეულობა, შესასწავლი დარგობრივი სფეროს მეთოდოლოგიის ცოდნა; ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მეცნიერული კვლევის დონე, თანამიმდევრული მეცნიერული მსჯელობა, არგუმენტირება; ანალიზისა და სინთეზის უნარი, ნაშრომის გაფორმება, ნაშრომის სტილისტური და ენობრივი გამართულობა, თვალსაჩინოებების, სქემების, დიაგრამების, ვიზუალური მასალის არსებობა, დასკვნის (შეჯამების) სრულყოფილება, კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა და პრეზენტაბელურობა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის სისტემა (EMIS), ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „გამოცდების ჩატარების წესის„ მიხედვით, სტუდენტი უფლებამოსილია გააპროტესტოს შეფასება, ხოლო „სამაგისტრო პროგრამების

| |
|---|
| დებულების“ მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ შეფასებაში შეცდომაა დაშვებული, მან უნდა მიმართოს შემფასებელს განმარტებისათვის. შეცდომის დადასტურების შემთხვევაში კი შემფასებელი ასწორებს შეფასებას. ამასთან აკრედიტაციის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სტუდენტის მხრიდან საგამოცდო შეფასების აპელაციის სურვილის შემთხვევაში სტუდენტი პირად კომუნიკაციას ამყარებს ლექტორთან და ასე ხდება ნაშრომის ხელახლა გადამოწმება, შესაბამისად ამ პროცესში ყველა ლექტორი სხვადასხვა მიდგომას ამჟღავნებს და  უსდ-ში არ არსებობს შედეგების გასაჩივრების უნიფიცირებული სისტემა, ამიტომ მიზანშწონილია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის უნიფიცირება და სასურველია შეფასების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობა.<br><br>საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის  უზრუნველყოფის  სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა  და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>• ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  და სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სამაგისტრო პროგრამების დებულება“<br>• საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების  ინსტრუქცია“;<br>• საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „გამოცდების ჩატარების წესი“;<br>• აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა;<br>• გამოცდების ჩატარების წესი;<br>• თვითშეფასების დოკუმენტი;<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>• დეტალურად გაიწეროს სტუდენტების მიერ გამოცდების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დაინერგოს ანტიპლაგიატის პროგრამა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| --- |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს. აღსანიშნავია, რომ პირველკურსელებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული სერვისების, მარეგულირებელი დოკუმენტების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.<br><br>საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, დასაქმების ოფისს ხელმძღვანელობს დასაქმების მენეჯერი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი მართავს დასაქმების ფორუმებს და რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა |

და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. ამასთან დასაქმების მენეჯერი ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მონიტორინგს, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს. აგრეთვე, ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უსდ სთავაზობს პროექტს „სამეცნიერო კარიერის საწყისები“, ამასთან პროგრამაზე სასწავლო პროცესი საღამოს საათებში მიმდინარეობს, რაც სამსახურისა და სწავლის შეთავსებაში ხელს უწყობს სტუდენტებს.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი German-Georgian Science Bridge თანამშრომლობაში საქართველოს მხრიდან მონაწილე უნივერსიტეტების კონსორციუმის წევრი გახდა 2015 წელს. თანამშრომლობა დაიწყო სწორედ ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტთან, რომელიც გახდა საერთაშორისო JEDI (Jülich Electric Dipole Moment Investigations) კოლაბორაციის წევრი. ამ პროგრამის ფარგლებში არაერთი სტუდენტი იმყოფებოდა იულიხის კვლევის ცენტრში გაცნობითი პროგრამების, სტაჟირებისა და პრატიკის გავლის მიზნით. ამასთან, 2018 და 2019 წლებში, აგრარულ უნივერსიტეტში იმყოფებოდა ერთკვირიანი ლექციების კურსის ჩასატარებლად იულიხის კვლევითი ცენტრის ელექტრონიკის ინსტიტუტის (ZEA-2) დირექტორი, ინტერვიუს პროცესში პროგრამის სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა. ამასთან, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებში, ჰაკათონებსა და პროექტებში. მიუხედავად, იულიხის კვლევით ცენტრთან ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის აქტიური თანამშრომლობისა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საერთაშორისო სემესტრულ მობილობაში სტუდენტთა მონაწილეობის შესამლებლობა, ბოლოს პროგრამის სტუდენტმა 2014 წელს ისარგებლა „ერასმუს +-ის“ გაცვლითი პროგრამით, შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება. აგრეთვე, სასურველია, წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-მ დანერგოს სასტიპენდიო პროგრამა, რომლის მოპოვებაც დამოკიდებული იქნება, როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობაზე (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება და ა.შ).

უნივერსიტეტში არსებული სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური სტუდენტების დეკანის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და სასწავლო უნივერსიტეტის

ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური - სტუდენტების დეკანის ფუნქცია-მოვალეობები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების იულიხის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტების აკადემიურ მიღწევების, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობის გათვალისწინებით (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სხვადასხვა სამეცნიერო პროდუქტის შექმნაში მონაწილეობა და სხვ.) სასტიპენდიო პროგრამის დანერგვა;
- სასურველია გაძლიერდეს პროგრამა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ამოქმედდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და ამ გზით გაუმჯობესდეს სტუდენტთა მობილობის მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქციის“ მიხედვით, შესაძლებელია ნაშრომის ხელმძღვანელის სხვა უნივერსიტეტიდან მოწვევა, ამასთან აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სამმა მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომზე იმუშავა გერმანიაში იულიხის კვლევის ცენტრში, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.
უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება „სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქციის“ მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა, ნაშრომის ხელმძღვანელებთან და პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ამასთან ხელმძღვანელი ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება მაგისტრანტს მათ კორექტირებაში.

| |
|---|
| სამაგისტრო ნაშრომების მომზადების ტექნიკურ-ადმინისტრაციულ მხარეს კურირებს სამაგისტრო ნაშრომების კოორდინატორი, რომელიც ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და ორგანიზებას უკეთებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობას.<br>ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი აქტიურ კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი სტუდენტის ნაშრომი ხელმძღვანელის კონსულტაციის შედეგად მოდიფიცირდა სამეცნიერო სტატიად და გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.<br>სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მიუხედავად ნაშრომების შინაარსობრივი გამართულობისა მათ აღენიშნებათ ტექნიკური გაუმართაობა, ნაშრომებში დაცული არაა ციტირებისა და გამოყენებული ლიტერატურის გაფორმების ერთიანი სტანდარტი, ამიტომ მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნაშრომის გაფორმებისა და ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა. ამასთან, სტუდენტები კვლევის პროცესში ნაკლებად იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს, შესაბამისად სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.<br>სამაგისტრო ნაშრომების შესწავლისას დაფიქსირდა, რომ ერთი და იგივე პირი ხელმძღვანელობს რამდენიმე სტუდენტს ერთდროულად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>• საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქცია“;<br>• სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორის სამუშაოს აღწერილობა;<br>• საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების იულიხის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• თვითშეფასების დოკუმენტი;<br>• უნივერსიტეტის ვებ გვერდი; |

- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნაშრომის გაფორმებისა და ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა.
- სასურველია სტუდენტებს ჩაუტარდეთ დამატებითი კონსულტაციები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის
- სასურველია განისაზღვროს მაგისტრანტთა ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ხელმძღვანელობაც ერთი ლექტორის მიერ ერთდროულად იქნება შესაძლებელი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

  მისასალმებელი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სამმა მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომზე იმუშავა გერმანიაში იულიხის კვლევის ცენტრში, ხოლო დამატებით ერთი სტუდენტის ნაშრომი ხელმძღვანელის კონსულტაციის შედეგად მოდიფიცირდა სამეცნიერო სტატიად და გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიურ პერსონალს და გეგმავს მათ პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. ამასთანავე, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და საერთაშორისო გამოცდილება, ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პერსონალის დაგეგმვა წარმოადგენს ინტერაქციულ პროცესს. პროფესორებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ ადმინისტრაციასა და სხვა შიდა და გარე რესურსებს შორის მიმდინარეობს დისკუსია და შეთანხმება უნივერსიტეტისა და პროგრამის მიზნებისა და მათი მიღწევის გზების შესახებ. უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამისთვის სწავლებაში ჩართული აკადემიური პერსონალი უნდა შედგებოდეს: პროფესორ-მასწავლებლებისაგან (არანაკლებ 60%) სამეცნიერო პერსონალისაგან (არანაკლებ 60%) მოწვეული პერსონალისაგან (არაუმეტეს 30%) პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის და მეცნიერთა აქტივობის შეფასების შედეგების მონიტორინგს. პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პერსონალის განვითარების მენეჯერი

შეიმუშავებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მეთოდებს; ხელს უწყობს უნივერსიტეტში სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და განვითარებას; ხელს უწყობს და ეხმარება აკადემიურ პერსონალს სილაბუსის გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების თვალსაზრისით; ატარებს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის ტრენინგებს სწავლების მეთოდოლოგიების და შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით; უზრუნველყოფს სილაბუსების განთავსებას უნივერსიტეტის ელექტრონულ სივრცეში; იღებს მონაწილეობას აკადემიური პერსონალის შესარჩევ საჩვენებელ ლექციებში; იღებს მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიურ შემუშავებაში. სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორი იძიებს ახალ საგრანტო კონკურსებს, შეისწავლის კონკურსების პირობებს და ავრცელებს კონკურსების შესახებ ინფორმაციას; აგროვებს და ამუშავებს კონკურსის დოკუმენტაციას; აწესრიგებს მეცნიერებისთვის გრანტების წარსადგენ დოკუმენტაციებს; აწარმოებს სამეცნიერო ნაწილის ბიუჯეტებს; ამზადებს წლიურ და შუალედურ ანგარიშებს (მიმდინარე და დასრულებული გრანტების რეესტრის წარმოება); აწარმოებს მეცნიერების რეიტინგებს; საგრანტო კონკურსების კოორდინატორებთან აქვს საქმიანი ურთიერთობა; აორგანიზებს სამეცნიერო სამსახურთან დაკავშირებული შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს, პრეზენტაციებს, სემინარებს და შიდა საუნივერსიტეტო პროექტებს; იძიებს, ამუშავებს და აანალიზებს საჭირო ინფორმაციების; აქვს კომუნიკაცია მეცნიერებთან (დოკუმენტაციების ანალიზი, დამუშავება); აწარმოებს მიმდინარე სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისათვის შეიმუშავებს პერსონალის განვითარების მეთოდებსა და მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხისა და ხარისხის კულტურის ამაღლებას უნივერსიტეტში: ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს ტრენინგებს, აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების, დაწერის მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს, ეხმარება კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის

შედეგებს; ქმნის ვორქშოფების საორიენტაციო შეხვედრების სტრუქტურას და გეგმას, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის დახმარებას სილაბუსების გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში, კურსისთვის რელევანტური შეფასების სისტემის შემუშავებაში, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების შესაბამისად; იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად; ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს საორიენტაციო შეხვედრების განრიგს, რომლითაც ხელს უწყობს ახლად არჩეული აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში; არსებული აკადემიური პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის სემესტრულად გეგმავს სამუშაო სემინერებს, სადაც მათთან ერთად განიხილავს, აანალიზებს და გამოავლენს პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სტრატეგიების, ცოდნის შემოწმების ფორმების სუსტ და ძლიერ მხარეებს, აცნობს მათ განათლების სფეროში ასრსებულ თანამედროვე ტენდენციებს, ხელს უწყობს თვითგანვითარების მოტივაციის ამაღლებაში.

მეცნიერის ყოველწლიური აქტივობების შეფასების სქემა პილოტირების პროცესშია და იტესტება, რათა მოხდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი საქმიანობის შეფასება იმ შედეგებით, რასაც მიაღწია მოცემულ ვადაში. შეფასების მეთოდი მოიცავს არა მხოლოდ ბიბლიომეტრულ მონაცემებს, არამედ ისეთ აქტივობებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მსგავსი ტიპის გამოთვლებში. შეფასების ეს მეთოდი მეცნიერის მოტივირების და რესურსების ადეკვატურად გადანაწილების საშუალებას იძლევა.

მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება; მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება; Impact Factor-იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი; მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები; სასწავლო პროცესში ჩართულობა

(აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა); წლის განმავლობაში დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების რაოდენობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური სტატისტიკა;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, დარბაზები, ლაბორატორიები, გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის, ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით.

სასწავლო ოთახები ლექციებისათვის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის სათანადოდ არის მოწყობილი. სტუდენტებისთვის მოწყობილია კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს: 15 კვლევით ინსტიტუტს, რომლებშიც ფუნქციონირებს 33 კვლევითი ლაბორატორია; ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის სტუდენტებს კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლიათ ისარგებლონ კვლევითი ინსტიტუტებითა და ლაბორატორიებით; საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი - უნივერსიტეტს გააჩნია საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი, რომელიც 4 კვლევით ლაბორატორიას აერთიანებს: ფიზიკო-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის ლაბორატორია, ქიმიის პრეპარატული ლაბორატორია, ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორია; აღნიშნული ლაბორატორიების გარდა, უნივერსიტეტში კიდევ 3 დამოუკიდებელი ლაბორატორია მოქმედებს. უნივერსიტეტს აქვს 26 სასწავლო ლაბორატორია, რომლებიც გათვლილია: 1. მცირე ჯგუფებზე (არა უმეტეს 20 სტუდენტისა); 2. ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებაზე, რამდენადაც თითოეულ სტუდენტს თავის სამუშაო სივრცე, ყველა საჭირო ხელსაწყო და რეაქტივი აქვს. თითოეული სტუდენტი აკეთებს ამა თუ იმ

ლაბორატორიული კურსით გათვალისწინებულ თითოეულ ცდას, ანალიზსა და ამოცანას; მიმართულებას გააჩნია უნივერსალური ლაბორატორია, აღჭურვილი თანამედროვე ხელსაწყოებით და კომპიუტერული კლასით, რომელიც უზრუნველყობს პედაგოგის მიერ ცალკეული სტუდენტის მუშაობის ეფექტურ კონტროლს. ოსცილოგრაფები დაკავშირებულია კომპიუტერებთან, რაც იძლევა საშუალებას პრცესების მრუდები ჩაიტვირთოს კომპიუტერში და ჩატარდეს ამ მრუდების სპეციფიური ანალიზი. კომპიტერებში ჩატვირთულია სპეციალობის შესაბამისი თანამედროვე (წამყვან უნივერსიტეტების მიერ გამოყენებადი) პროგრამული უზრუნველყოფა - MatLab, MultiSim, Proteus, Flowcode. ლაბორატორია უზრუნველყობს შემდეგ საგნებს: ელექტრული წრედები, ელექტრონიკა, ანალოგური და ციფრული ელექტრონული წრედები, საინჟინრო გაზომვები და სენსორები I, II, ძალური ელექტრონიკა, ელექტრომექანიკა, მიკროპროცესორები. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიაში არის 20 იდენტური სამუშაო ადგილი, რაც უზრუველყობს სტუდენტის ინდივიდუალურ მუშაობას და შესაბამისად იგეგმება სასწავლო ცხრილით;

მიმართულებას გააჩნია კიდევ ერთი სპეციალიზირებული ლაბორატორია, აღჭურვილი ასევე თანამედროვე კომპიუტერებით და სასწავლო მოდულებით, სადაც მიმართულების სტუდენტები გადიან პროგრამირებადი ჩაშენებული სისტემების (FPGA) და ციფრული მართვის I, II (PLC) პრაქტიკულ და ლაბორატორიულ კურსებს;

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შექმნილია სწავლისათვის შესაფერისი გარემო და აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით; უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია 200 კომპიუტერით; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი აღჭურვილი სხვადასხვა ტიპის ტრენაჟორებით, რომლის გამოყენება შეუძლიათ სტუდენტებს უფასოდ; კაფეტერია, რომელშიც განთავსებულია 11 დამოუკიდებელი ობიექტი. უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე, სადაც აკადემიური ან სამეცნიერო პროცესი მიმდინარეობს ინტერნეტი ხელმისაწვდომია უსადენო ტექნოლოგიებით. კამპუსის ტერიტორიაზე განლაგებული უსადენო ქსელის წერტილების ტექნოლოგია შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფს ყველა აუდიტორიაში ადგილების რაოდენობების შესაბამისი უსადენო ინტერნეტის მომხმარებლის დაერთებას. მიმდინარეობს მოთხოვნის მუდმივი მონიტორინგი და უნივერსიტეტის სხვადასხვა უბანზე სიმძრავლეების ადაპტირება მოთხოვნის შესაბამისად. უნივერსიტეტის კამპუსი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების მიწოდებით. კამპუსს აქვს გათბობის 3 ალტერნატიული მეთოდი: 1. ცენტრალური გათბობის სისტემა (რადიატორების საშუალებით) 2. სპლიტ სისტემა (კონდიციონერების არსებობა ყველა აუდიტორიაში, რაც

| |
|---|
| უზრუნველყოფს გათბობა/გაგრილების სისტემის რეგულირებას) 3. სავენტილაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების და მიხედვით თბილი ან გრილი ჰაერის მიწოდებას და დახურული ღიობების არსებობის პირობებშიც სუფთა ჰაერის მუდმივ მიწოდებას და ცირკულაციას; ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა მოქმედებს საქართველოში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; შენობაში არსებობს პირველადი დახმარების აღმოჩენის საშუალება ასეთის საჭიროების შემთხვევაში; შენობაში მოქმედებს 24-საათიანი დაცვა და სამეთვალყურეო კამერები როგორც შენობის შიგნით ყველა სართულზე ასევე შენობის პერიმეტრზე. შენობის შესასვლელში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის გათვლილი სავალი ნაწილი (პანდუსი), ლიფტი, არის ადაპტირებული სველი წერტილები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინდივიდუალური სპეციალური საჭიროებების შემთვევებში უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის უწყვეტ და სრულყოფილ სასწავლო პროცესს. საგანმანათლებლო პროცესი უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიებით. ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ადექვატურად მოიხმაროს უნივერსიტეტის ტექნიკური რესურსები. ყველა პროფესორ–მასწავლებელს შეუძლია დამოუკიდებლად მოამზადოს კურსის შესაბამისი ელექტრონული მასალები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>ქონების ფლობის დოკუმენტაციით; შესყიდვის დოკუმენტაციით. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება |

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სასწავლო პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა (სრული შემოსავლების 52,3%). გარდა სტუდენტების სწავლების შემოსავლისა, აგრარულ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 25,9%), ცოდნის ფონდის პირდაპირი დაფინანსება სასწავლოსამეცნიერო მიზნებისთვის (სრული შემოსავლების 5,2%) და შემოსავლები სხვა სასწავლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან (სრული შემოსავლების 16,6%).

უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და პროგნოზირებადი, რადგან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი სტუდენტთა გამოცხადებული რაოდენობის თითქმის 100%-ს ავსებს ყოველწლიურად.

უნივერსიტეტი არ არის მოგებაზე ორიენტირებული, მისი მთავარი მიზანია საქართველოში განათლების ხელშეწყობა. ყოველწლიურად გამომუშავებული თანხის

| |
|---|
| ნამეტის რეინვესტირება ხდება მთლიანად განათლებაში.<br>საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდის“ ჯგუფის წევრს, რომელსაც გააჩნია გაუთვალისწინებელ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსური უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი რესურსი.<br>კვლევის დაფინანსება - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში კვლევების დაფინანსება ხდება ორი ძირითადი წყაროდან: 1. უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებიდან (როგორიცაა მაგალითად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები); უნივერსიტეტის შიდა საბიუჯეტო დაფინანსება; 2. ინდივიდუალური კვლევითი და პროფესიული განვითარების სახელფასო დაფინანსება. უნივერსიტეტს აქვს მიზნად დასახული, რომ ყოველ სასწავლო წელს, ჯამური ხარჯების მინიმუმ 30% მოხმარდეს კვლევების დაფინანსებას. აქედან 20% იყოს უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული დაფინანსება, ხოლო მინიმუმ 10% შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>• ბიუჯეტი (დოკუმენტი ფინანსური რესურსის უზრუნველყოფის თაობაზე);<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეინარჩუნოს ,,თხელი სტრუქტურის" (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს შეექმნათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი და დაცული იყოს მათი ღირებულებები და აკადემიური |

თავისუფლება. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ჩართულები არიან ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მჭიდრო თანაკვეთაშია პრორექტორების, დეკანების, სკოლის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების, სარეგისტრაციო ოფისის, ადამიანური რესურსების, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საქმიანობებთან და გუნდური მუშაობის შედეგად ხდება, როგორც პრობლემების იდენტიფიცირება, შეთანხმება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე ისე, მისი განხორციელების გზებზე და პროცესების დაგეგმვაზე.

რეგისტრაციის ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, კოორდინირებას არჩევით საგნებთან, ტრანსკრიპტებთან, აკადემიურ ცხრილთან, სემესტრულ გეგმებთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხარვეზების არსებობის შემთხვევაში. ხარვეზის იდენტიფიცირების შემთხვევაში პროცესის გაუმჯობესებაში ჩართულია არა მხოლოდ ხარისხის სამსახური, რომელიც აგროვებს და ანაალიზებს მონაცემებს, არამედ ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაში.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის, კვლევის შედეგების და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში გეგმავს ვორქშოფებს, სემინარებსა და ტრენინგებს აკადემიურ პერსონალთან პედაგოგიური პროფესიული უნარების განვითარების და დახვეწის მიმართულებით, რომელიც კერძოდ ეხება სწავლების მეთოდების თანამედროვე ტექნიკების იმპლიმენტაციას, სწავლების ელექტრონულ სისტემაში გამართული უწყისების გენერირებას, სწავლების შედეგებისა და ცოდნის შეფასების სისტემის რელევანტურობას. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის მუშაობა გულისხმობს როგორც ყოველი სემესტრის დასაწყისში ახალ მოწვეულ პერსონალთან ინტენსიურ მუშაობას ტრენინგისა და ვორქშოფის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ახლმოწვეული პერსონალის სრულ ინტეგრაციას უნივერსიტეტში და მაქსიმალურად ეფექტურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ასევე, ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური ჩაღრმავებული ვორქშოფების დაგეგმვას, რომელიც ეხმარება პროფესორ მასწვალებლებს დახვეწონ საკუთარი მიდგომები თუ მეთოდები სწავლების უზრუნველყოფის პროცესში, რის შედეგად ხდება პროცესის გაუმჯობესება და ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა. ადამიანური რესურსების მენეჯერთან ერთად ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის

სრულ ინტეგრირებას უნივერსიტეტის ცხოვრებაში. იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს საორიენტაციო შეხვედრების განრიგს, რომლითაც ხელს უწყობს ახლად არჩეული აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

პრორექტორს პროგრამების განვითარების საკითხებში ხარისხის სამსახურიდან მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ეხმარება პროგრამების და კურიკულუმების განვითარების, გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომელიც გამოიხატება არსებული სასწავლო კურსების დახვეწასა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის საკითხებში, კერძოდ, თითოეულ სასწავლო კურსზე შინაარსობრივი მუშაობის კუთხით და კრედიტების კალკულაციისას სტუდენტებისგან და ლექტორებისგან მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებაში. სასწავლო პროცესის მართვის ეფექტიანობის, აკადემიური პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის პრორექტორს სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში ეხმარება ხარისხის სამსახურისგან მიღებული მონაცემების ანალიზი. გარდა ამისა, პრორექტორი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან ერთად და ხარისხის სამსახურისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე მუშაობს ხარვეზების აღმოფხვრაზე, მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში. რადგან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებს შორის კოორდინაცია გამჭვირვალე, ღია და მარტივად ხელმისაწვდომია, სარეგისტრაციო ოფისისის სამსახურთან ერთად პრორექტორი ზრუნავს აკადემიური პროგრამების შეუფერხებლად განხორციელებაზე, მონაცემთა ანალიზი, გაცვლა და დამუშავება ხდება ორმხრივად, როგორც პრორექტორის, ისე ხარისხის სამსახურის მიერ. სტუდენტების დეკანი სტუდენტების კანონიერი უფლებების მხარდაჭერა ინსტიტუციონალიზებულად არის გარანტირებული სტუდენტების დეკანის არსებობით. დეკანი ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლია სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის. იგი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აწვდის ინფორმაციას სტუდენტების მიერ დასახელებულ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემაზე. სტუდენტების დეკანის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაცია, შეიძლება იყოს საფუძველი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კვლევის ჩატარების.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს ,,ხარისხის

უზრუნველყოფის ციკლის" (PDCA) მიხედვით, რომელიც ითვალისინებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირების" პრინციპს. აღნიშნული მოდელი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების სქემას და გამოიყენება როგორც სრული პროცესის გასაუმჯობესებლად, ასევე ცალკეული პროცესების ხარისხის უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად. „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი" (PDCA) დინამიური მოდელია და მოქმედებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლიდან" (PDCA) გამომდინარე: ა) გეგმავს საკუთარ სამუშაოს, კერძოდ, გეგმავს, საქმიანობის რომელი ასპექტები უნდა შეფასდეს, რომელი სკოლები თუ საგანმანათლებლო პროგრამები და როგორი თანმიმდევრობით; ბ) ახორციელებს დაგეგმილ სამუშაოს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; გ) აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს; დ) განსაზღვრავს აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. სასწავლო პროცესის განმავლობაში შიდა შეფასება ხორციელდება შემდეგი სახით: სემესტრის განმავლობაში, სისტემატურად, ტარდება სხვადასხვა სახის გამოკითხვა SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. სტუდენტები უფლებამოსილნი არიან თავისუფლად და ანონიმურად შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები, სკოლის ადმინისტრაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი. კითხვარი იქმნება კონკრეტული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და არ არსებობს წინასწარ დადგენილი ფორმა. რაოდენობრივი კვლევები ეხება სასწავლო პროცესის როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ მხარეს. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს და სილაბუსების განახლებისთვის. კერძოდ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საშუალება აქვს შეაფასოს გამოყენებული სწავლების მეთოდების, მიდგომების, შეფასების სისტემის ეფექტიანობა და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატურობა დასახულ მიზნების მიმართებაში. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზს, გაზომვას და მიღებული მონაცემების განხილვის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიკაციას. გარდა რაოდენობრივი კვლევებისა, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება თვისობრივი კვლევები, ჩაღრმავებული ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან და ინდივიდუალური შეხვედრები. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტთა მიერ მიღებული ქულების სტატისტიკური ანალიზი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა;
- უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაციით;
- გამოკითხვის შედეგები და SurveyMonkey სისტემაში არსებული კვლევები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული

| |
|---|
| დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი იყენებს peer review პროცესს. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს და მხოლოდ კრიტიკული განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმით: პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით და კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებისა თუ სხვა სახის აქტივობებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA დინამიური სისტემის მიხედვით თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და მას აქვს უწყვეტი ხასიათი. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკას შეუძლია იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცრება თუ პროგრამის რომელ სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკაში არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო

პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად. აგრეთვე, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა ეხმარება პროგრამების განვითარების პრორექტორს, ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამაში ხარვეზების იდენტიფიცირებაში, აღმოსაფხვრაში და საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო კურსების ოპტიმიზაციაში. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა ცხადად და გარკვეულად აჩვენებს თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებული ყოველი საგნის სილაბუსში გაწერიალია სწავლის შედეგები, ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. სწავლის შედეგების გაწერა სასწავლო კურსში ხდება ლექტორის მიერ. სწავლის შედეგები ფასდება პროცედურით, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალე კრიტერიუმებს და ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში არის ასახული.

შეფასების სისტემაში არსებული ცოდნის შემოწმების ფორმების და ტექნიკების, რომლებიც ზომავენ მიღწეულ სწავლის შედეგებს, მონიტორინგი ხორციელდება როგორც სტუდენთა გამოკითხვით, ისე სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში უწყისების მონიტორინგით. კერძოდ, მიღებული შედეგების სიმეტრიულობის კოეფიციენტის ანალიზისა და ნიშნების განაწილების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავადგინოთ რამდენად რელევანტური იყო ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდები და ტექნოლოგიები. თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ნიშნების განაწილებაში გარკვეულწილად დარღვეულია სიმეტრიულობა, ლექტორთან ერთად ხდება კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემის მეთოდოლოგიური ანალიზი, შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შედეგად ლექტორი აუმჯობესებს შეფასების სისტემას, რაც ემსახურება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნება. უკუკავშირი გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედგების მიღწევის გაუმჯობესების გზები. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს მუდმივად, აკადემიური ციკლების ჯერადობით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამისათვის დამატებით შემუშავდა

| |
|---|
| პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების გეგმა.<br>აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში, პირველ და მეორე სტანდარტში, პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარედ მითითებულია ერთი და იგივე პრობლემა. სასურველია, უფრო მეტად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და გამიჯვნა სტანდარტებს შორის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>• პროგრამის სწავლის შედეგები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;<br>• შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>• საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა;<br>• პროგრამის მონიტრინგისა და პერიოდული შეფასების გეგმა;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>▪ სასურველია კურსდამთავრებულები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში (როგორ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს უსდ მათ უკავშირდება იმის დასაზუსტებლად დასაქმებულები არიან თუ არა პროფესიით, თუმცა ისინი არ ყოფილან ჩართული და საკუთარი აზრი არ გამოუხატავთ პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით);<br>▪ სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;<br>▪ სასურველია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას, უფრო მკაფიოდ მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამიჯვნა სტანდარტებს შორის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა

## დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა — ვალერიან გობრონიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა — შალვა კვირკველია

სახელი, გვარი, ხელმოწერა — ნიკა გიგაური